

შპს დიდი დილომი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით **Error! Bookmark not defined.**

მოგება-ზარალის დაგაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის **Error! Bookmark not defined.**

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება **Error! Bookmark not defined.**

ფინანსური ანგარიშგების სახსნა-განმარტებითი შენიშვნები **Error! Bookmark not defined.**

1. ზოგადი ინფორმაცია **Error! Bookmark not defined.**

2. მომზადების საფუძველი **Error! Bookmark not defined.**

3. მსსფას-ზეგადასვლა **Error! Bookmark not defined.**

4. კომპანიის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **Error! Bookmark not defined.**

5. ფული და ფულის ექვივალენტები **Error! Bookmark not defined.**

6. მარაგები **Error! Bookmark not defined.**

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები **Error! Bookmark not defined.**

8. კაპიტალისცვლილება **Error! Bookmark not defined.**
9. შემოსავალირეალიზაციიდან..... **Error! Bookmark not defined.**
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება **Error! Bookmark not defined.**
11. საამგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები **Error! Bookmark not defined.**

ფინანსური მდგომარეობის უწყისი 2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/22 GEL	31/12/21 GEL
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,343,467	239,048
სავაჭრო მოთხოვნები	2,121,527	1,795,894
გადახდილი ავანსები	140,965	72,785
მარაგები	22,731	21,128
სხვა მიმდინარე აქტივები	3,874	5,525
არამატერიალური აქტივები	8044	
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,640,608	2,134,380
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	675,568	670,412
სულ გრძელვადიანი აქტივები	675,568	670,412
მთლიანი აქტივები	4,316,176	2,804,792
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,337,917	1,156,012
მიღებული ავანსები	398,542	223,390
საგადასახადო ვალდებულებები	112,772	136,216
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,849,231	1,515,618
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	2,464,945	1,287,174
სულ საკუთარი კაპიტალი	2,466,945	1,289,174
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	4,316,176	2,804,792

**2022 წ. 31 დეკემბერეს დასრულებული წლის სრულ შემოსავლის
შედეგი**

	2022 GEL	2021 GEL
შემოსავალი რეალიზაციიდან	10,021,503	8,325,106
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7,115,357	-6,506,908
საერთო მოგება	2,906,146	1,818,198
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედეგი საკუთრო სხვაობიდან	-1,245,704	-965,711
საოპერაციო მოგება	1,660.442	852,487
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	492	210
მოგება დაბეგვრამდე/(ზარალი)	1,660,934	852,697
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება/(ზარალი)	1,660,934	852,697

**2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის მოძრაობის
შედეგები**

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილე ბელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი	2,000	564,890	566,890
კაპიტალის შემცირება		-103,150	-103,150
განაწილებული დივიდენდი		-25,263	-25,263
წმინდა მოგება/-ზარალი		852,697	852,697
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	2,000	1,289,174	1,291,174
კაპიტალის შემცირება		-278,847	-278,847
განაწილებული დივიდენდი		-206,315	-206,315
წმინდა მოგება/-ზარალი		1,660,934	1,660,934
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	2,000	2,464,946	2,466,946

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

	2022 GEL	2021 GEL
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
<u>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა</u>	<u>1,104,418</u>	<u>-1,163,799</u>
<u>სავალუტო კურსის ეფექტი</u>		
<u>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</u>	<u>239,048</u>	<u>1,402,847</u>
<u>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</u>	<u>1,343,466</u>	<u>239,048</u>

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დიდი დილომი დაფუძნდა 2001 წლის 14 მაისს და რეგისტრირებულია ქ. თბილისი, ი. პეტრიწის ქ N 12, ბინა 5. ფაქტიური მისამართი ქ. თბილისი მეფე მირიანის ქ N 5მისამართზე. კომპანიის საინდეფიკაციო კოდია: 204962825. კომპანიის პარტნიორია შემდეგი ფიზიკური პირები:

ჯემალ წერეთელი (ს/კ 01025004951) – 25%

ჯემალ ლალიაშვილი (ს/კ 01025007065) -25%

ავთანდილ იმნაძე (ს/კ 01025011213) -25%

ბექა მირიანაშვილი (ს/კ01025007352) -25%

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბუნებრივი გაზისმიწოდება და განაწილება, ასევე მოსახლეობის გაზიფიცირება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი ჯემალ წერეთელი(ს/კ 01025004951), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 25% წილის მფლობელიც.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე დასაშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა დამფლობელებს სურვილიაქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და

ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მეოთხე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2010 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ყველა სავალდებულო გამოწვევისი.

4. სააღრიცხვოპოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2022 წლის 1 იანვარი	3.0892	3,4991

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-16-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების აღგვირგაწმდეგ მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღგვირგაწმდეგარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტოსაშუალებები	5-10
ავიაციის საშუალებების მოწყობილობა	2-8
სხვაძირითადი საშუალებები	2-4
მილსადენები	20-25

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეოსაქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგისწარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა დამასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

ვინაიდან კომპანია აწარმოებს ბუნებრივი გაზის ყიდვასა და მოსახლეობაზე გაყიდვას გამომდინარე აქედან კომპანიას იმ შემთხვევაში უჩნდება მარაგები (ძრითადად ბუნებრივი გაზის აღრიცხვის მრიცხველები და გაზიფიცირებასთან დაკავშირებული მასალები) როდესაც ის ახორციელებს მოსახლეობაში გაზიფიცირებას.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

4.5 შემოსავალი

ვინაიდან საწარმო მუშაობს დარიცხვის მეთოდით, შემოსავლად ითვლება ყოველი თვის ბოლოს მოსახლეობაზე დარიცხული ბუნებრივი გაზის სარეალიზაციო ღირებულება (დამატებითი ღირებულების გარეშე) რომლის ტარიფიც დადგენილია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

4.6 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2022	31-12-2021
ნაღდი ფული სალაროში	36,167	27,463
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,307,299	211,586
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,343,466	239,048

6. სავაჭრო მოთხოვნები

მუხლში მოყვანილი მნიშვნელობა - 2,119,472 ლარი - მთლიანად ასახავს 31.12.2022 წ.-სათვის აბონენტების დავალიანებას კომპანიისადმი. თანხის სიდიდე გამოწვეულია მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვისა და გადახდის პროცედურის სპეციფიკით.

7. გადახდილი ავანსები

მუხლში ასახულია საქონლის და მომსახურების შესაძენად კონტრაგენტებისათვის გადახდილი ავანსების ჯამი:

შპს გლობალსელო	1,724 ლარი
შპს ექსპრეს ჯგუფი	59,080 ლარი
შპს ვიქტორია 2006	58,219 ლარი
შპს ბითლი	47,315 ლარი

8. მარაგები

	32.12.22	01.01.22
საქონელი	21,984	19,354
საწვავ-საცხები მასალები	748	1,774

საქონლად დაფიქსირებულია საწარმოს მარაგში არსებული, ახალი აბონენტების გაზიფიკაციისას გამოსაყენებელი მრიცხველების ღირებულება.

საწვავ-საცხები მასალების ღირებულება ასახავს პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის საწარმოს მიერ შეძენილი საწვავის ტალონების გაუხარჯავი ნაწილის ღირებულებას.

9. სავაჭროდა სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.22	01.01.22
სავაჭრო ვალდებულებები	1,337,917	1,156,012
მიღებული ავანსები	398,542	223,389

სავაჭრო ვალდებულებებიდან მნიშვნელოვანია პერიოდის ბოლოსთვის მომწოდებლებისგან ბუნებრივი გაზის მოწოდებით წარმოშობილი დავალიანების დაუფარავი ნაწილი:

შპს თბილისი ენერჯი	322,669 ლარი
შპს საქ. გაზის ტრანსპორტირების კომპანია	68,607 ლარი
შპს სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი	933,805 ლარი

მუხლი „მიღებული ავანსები“ ასახავს ახალი კორპორატიული კლიენტების მიერ გაზიფიკაციის სამუშაოებისთვის გადახდილ საავანსო თანხების ჯამს. გამოსაყოფია შემდეგი აბონენტები:

შპს ალუ	55,085 ლარი
შპს ელინორ კონტრაქშენ	42,373 ლარი
შპს ლიბრა ქონსტრაქშენ	27,034 ლარი
შპს რესტარტი	42,373 ლარი
შპს საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი	113,819 ლარი
შპს სოლი	111,864 ლარი

10. კაპიტალი და ვალდებულებები

2022 წელს კაპიტალი გაიზარდა 1,239,771 ლარით.

წლის განმავლობაში მიღებულია წმინდა მოგება 1,660,934 ლარი;

პარტნიორთა კაპიტალი (გასანაწილებელი მოგება) შემცირებულია 421,163 ლარით (აქედან: ზენორმატიული ბ/გაზის დანაკარგი 118,050 ლარის, დანაკარგზე მოგების გადასახადი 17,698 ლარის, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება 3,800

ლარის, ქველმოქმედება 300 ლარის, 75,000 ლარი სემეკის მიერ დარიცხული ჯარიმა);

განაწილებულია დივიდენდი 206,315 ლარის ოდენობით

პერიოდის ბოლოს კაპიტალმა შეადგინა 2,464,945 ლარი.

11.შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის ბუნებრივი გაზის მოსახლეობაზე რეალიზაცია და ასევე გაზიფიკაცია.

12.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია ახდენს ბუნებრივი გაზის შესყიდვას შპს „სოკარ გაზ ექსპორტ იმპორტი“ - სგან რომელიც გვაწვდის მოსახლეობაზე 1000 მ/კუბ გაზს 95,63 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით, ხოლო კომერციულ ობიექტებზე გაზს გვაწვდის შპს „თბილისი ენერჯი“ 1000 მ/კუბ გაზს 245 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში თბილისი ბანკის თვის ბოლოს არსებული გაყიდვის მაქსიმალური კურსის მიხედვით, ხოლო 2022 წ. 1 ივლისიდან 275 აშშ დოლარად. ამას ემატება ყოველ 1000 მ/კუბზე ტრანსპორტირების ტარიფი 18,95 ლარი და გატარების საფასური 33,4765 ლარი.

13.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენებიდან აღსანიშნავია 6 აპრილის 3/01-16-4285 გადაწყვეტილებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დაჯარიმებული ქინა კომპანია 75000.00 (სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

დირექტორი

ჯ. წერეთელი